პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 266 (13958) | კვირა, 12 ნოემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდა მუშების ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) მქსოველები მ. მოსეშვილი, ვ. ვორონოვა, ქვეოსტატი მ. დავლაძე, მქსოველი ლ. ბოქოლიშვილი, ელექტრომონტიორი მ. სურმავა, მქსოველი ი. აბაზაშვილი და ქვეოსტატი ნ. ლეჟავა.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ლრო შეუქცევადია. იგი მხოლოდ წინ გარბის. ჩვენი საუკუნე ჩვიდმეტი წლის არც იყო, როცა კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა. და დღეს თვით ეს ახალი ერა — სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა თავისი განვითარების მეორე ორმოცდაათწლეულში შევიდა.

საბჭოთა ხალხმა ისტორიას სიამაყით ჩაბარა ბრძოლისა და შრომაში მოპოვებული გამარჯვებებით აღსავსე 50 წელი. იფურცლება კალენდარი, ჩვენს ყოფაში ყოველდღიურად ისახება კომუნისტური საზოგადოების გრანდიოზულ მშენებლობათა ნათელი პორტრეტი. დიადი მიზნის დიადი ენერგია, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში იშვა, სულ ახალ-ახალ ძალებს იკრებს. მისი უდიდებულესობა — ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომა არის ყველაფრის შემოქმედი.

როგორ არ უნდა ვიამაყოთ ჩვენ ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე ჩვენი სამშობლოს მსოფლიო-ისტორიული წარმატებებით ხუთი ათეული წლის მანძილზე! როგორ არ უნდა განიცდიდეთ უდიდეს შინაგან კმაყოფილებას, როცა შეგნებული გვაქვს, რომ საერთო გამარჯვებაში შენი წვლილიც არის, რომ არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი მიიბიჯებ შენ, საბჭოთა კავშირის მოქალაქე ცხოვრებაში და ყველაფერი, რასაც გარშემო ხედავ, და ყველაფერი, რაც გაკეთდება, შენთვის არის, შენი შვილებისათვის, ყველა ჩვენთვის, კომუნისტის მშენებელთა საზოგადოებისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის.

ღრმა კმაყოფილება, კანონიერი სიამაყე, სულიერი ძალების მოზღვავება გამოიწვია თვითეულ საბჭოთა ადამიანში ჩვენი ქვეყნის ნახევარსაუკუნოვანი გზის შედეგებმა და პერსპექტივებმა, რომლებიც ყოველმხრივ გახსნილი და განზოგადებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში „სოციალიზმის დიად გამარჯვებათა 50 წელი“. მუშების, კოლმეურნე გლეხების, ინტელიგენციის ფართო მასებში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვამ საბჭოთა ხალხისადმი.

ბრძოლისა და მშენებლობის ხუთი ათეული წლის გამოცდილებით ჩვენი ხალხი დარწმუნდა, რომ კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც მან თავისი სამშობლოს ბედი მიანდო, იცის, საით წაიყვანოს ჩვენი ქვეყანა, და გაბედულად მიჰყავს იგი ერთადერთი სწორი გზით. პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა ჩვენი ყველა გამარჯვების საფუძველია. ეს ერთხელ კიდევ განსაკუთრებული ძალით ცხადყო დიდი ოქტომბრის იუბილეს დღეებმა.

— ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲥᲐᲠᲓᲜᲘᲗ ᲥᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲝ ᲥᲐᲚᲐᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ — ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲔᲠᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲐ — ᲬᲔᲠᲓᲘᲗ ᲒᲘᲠᲩᲘᲗ ᲛᲔᲠᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲐ — ᲛᲔᲠᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ

დიდმა ოქტომბერმა უდიდესი გავლენა იქონია ხალხთა ბედზე. გამოიღვიძა ისინი ფეოდალისა და ალორძინების ფართო გზაზე. ამიტომ მრავალ ასეულ წერილსა და დეპეშაში, რომლებიც საიუბილეო დღეებში სარედაქციო ფოსტამ მოგვიტანა, ჩანს ჩვენი ხალხის დიდი სიყვარული თავისი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ლენინური პარტიისადმი, მისი შრომეული „რწმენა კვლავაც ყველაფერი გაკეთოს საბჭოთა ქვეყნის სასახელოდ და სადიდებლად.

გულის კარნახით

საღამისასწაულო წერილებისა და დეპეშების უწყვეტი ნაკადი ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლო რაკურსებმა დაიწყო. ხოლო ოთხიოდე კვირაში ჩვენი გაზეთის სარედაქციო ფოსტამ მოგვიტანა რამდენიმე ათასი მოლოცვა, რომელთა ავტორები არიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტუალური შრომის მუშაკები, ისინი იწერებიან რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, ყრის დეპეშები მოიმე რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთიდან.

რედაქციაში მიღებულ დეპეშებსა და წერილებში მშრომელები გამოთქვამენ სიხარულსა და აღტაცებას დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის გამო, წარმატებას უსურვებენ საბჭოთა სამშობლოს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. ისინი იუწყებიან თავიანთი შრომითის მიღწევებზე და პირობას დებენ შემდგომშიც არაფერი არ დაიშურონ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი ძლიერების განსამტკიცებლად.

აი დეპეშა ყველაზე შორიდან — ცენტრალური ატლანტიკის ოდოსავლეთი ნაწილიდან. სადაც ტრაულერმა „რუსთავმა“ დაიწყო თავისი მეორე სარეწაო რეისი. ტრაულერის კაპიტან-დირიქტორი **სემიონოვი**, კაპიტნის პირველი თანაშემწე **აბაშია** და ხომალდის კომიტეტის თავმჯდომარე **ლომაია** იუწყებიან, რომ ტრაულერმა გემის გადაქცევით „დაიპირა და გადაამუშავა ასობით ცენტნერი თევზი. ეკიპაჟი პირობას დებს მუდამ მაღლა ატაროს ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის სახელი. ამასთან ტრაულერის ეკიპაჟი გვთხოვს ჩვენი გაზეთის საშუალებით საქართველოს მშრომელებს გადაეცეთ მათი მხურვალე სალამი. საუკეთესო სურვილები და ეუსურეოთ შემდგომი წარმატებანი.

დიდი დღესასწაულს წინადღეს — 6 ნოემბერს რედაქციას მოუვიდა დეპეშა საქართველოს საზღვაო ჰიმწარის — ფოთის პორტის უფროსისა, სოციალისტური შრომის გმირის **რეკვავასაგან.** იგიც გვთხოვს გადმოვიტანოთ საშუალებით რესპუბლიკის მშრომელებს გადაეცეთ ფოთის პორტის კოლექტივის გულითადი მოლოცვა დიდი დღესასწაულთან დაკავშირებით.

დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთ სახელოვან დღესასწაულს ფოთიდან ულოცავს ქარხნის ზენაკალთა ბრიგადირი, დიდი სამამულო ომის მონაწილე **რომ ოვი.**

გურჯაანის რაიონის სოფელ შრომიდან მოგვაწვდინა ბმა უხუცესმა პენსიონერმა, პარტიის წევრმა 1932 წლიდან **ქ. ონანაშვილმა.** იგი გამოხატავს ხალხის სანუკვარ მისწრაფებას როცა ამბობს: — ჩვენ, უბრალო საბჭოთა ადამიანები, ვეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ ბრძოლათვის, რომ მსოფლიოში მუდმივმა მშვიდობამ დაისადგუროს.

— პატივცემულო რედაქციავ! — გვწერს გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულის კოლმეურნეობის წევრი **მ. გაბუნია.** — შვიდი შვილის დედა ვარ. ხუთი კლასის განათლების მქონე ადამიანმა შეიძლება ბევრ გაკვირვებული ეს, რასაც ამ წუთებში განვიცდი. მაგრამ რასაც გწერთ, გულმა მიკარნახა. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივულოცო ოქტომბრის სახელოვანი 50 წლისთავი საბჭოთა საქართველოს მშრომელებს, რომლებსაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მრავალი მისალოცი დეპეშა და წერილი მოგიდა საქართველოს ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქიდან — რუსთაველიდან. იწერებიან მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **გ. სებინაკვერაძე,** ამავე საამქროს უფროსი ჩამომსხმელი **ნ. ალბოროვი,** სინთეზური ბოჭკოების ქარხნის მუშები **ვ. კალანდაძე, ნ. წიოელაშვილი, ი. ზალიკანიანი,** ხარატები **ნ. ბერობაშვილი, ა. ბახსოლიანი,** საგლინავი საამქროს უფროსი **ბ. ზასლავსკი,** დგან „1000“-ის უფროსი გამხურებელი **ო. დვინიანიძე,** მეტალურგიული ქარხნის მოლაბდადი საამქროს უფროსი **ო. ხოფერია,** ამავე საამქროს უფროსი მვალცავი **გ. პაიკაძე** და მრავალი სხვა.

კოლხიდაშენის სახელოვანი კოლექტივი სოხოეს ჩვენი გაზეთის რედაქციას „კომუნისტის“ საშუალებით მიეულოცოს საქართველოს მშრომელებს დიადი იუბილე და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს.

მნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდნენ დიადი იუბილეს რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, რომელთა მოწინავე რიგებში არიან ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები. სარედაქციო ფოსტამ მოგვიტანა ბევრი დეპეშა რესპუბლიკის მეჩაიეობის წამყვანი რაიონიდან — მახარაძიდან. სიხარულით ეცნობილობთ ამ რაიონის საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების კოლექტივების, ცალკეული მუშებისა და კოლმეურნეების დეპეშებს.

ბევრი დეპეშა მოვიდა **წალენჯიხიდან, ქარელიდან, გარდაბნიდან, ბათუმიდან, მაიაკოვსკიდან, ცხინვალიდან, ჩოხატაურიდან, გორიდან, თეთრი წყაროდან, ხაშურიდან, კასპიდან, ბორჯომიდან, საგარეჯოდან, თერჯოლიდან, თელავიდან, ტყიბულიდან, ვიათურიდან,** რესპუბლიკის ყველა კუთხიდან.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას და მისი საშუალებით საქართველოს მშრომელებს მიესალმებიან და ახალ წარმატებებს უსურვებენ ჩვენი თანამოსაგრეები და თანამოკალმენი. მათ შორის საკავშირო ჟურნალების „ჟურნალისტის“, „ზა რუბეჟომის“, აგრეთვე „კომუნისტი ტოჯიკისტანის“, „ლიტერატურნაია გრუზიის“, გაზეთების „პრავდა ვოსტოკას“, „სოვეტსკაია ბელორუსიის“, „ტოჯიკისტონი სოვეტის“, „სოვეტსკაია ლიტვას“, „ლენინგორსკაია პრავდას“, „სოვეტსკაია აზიხტანის“, „კომუნისტის“ (ერევანი), „სოვეტ გიუოურუსტანის“, „ზოლოდ უკრაინის, „სოფლის ცხოვრების“, „ლენინსკოე ზნამიის“, „ნორჩი ლენინელის“, „თბილისის“. საოლქო გაზეთების „საბჭოთა აფხაზეთის“, „საბჭოთა აჭარის“, „საბჭოთა ოსეთის“, „სოვეტსკაია აბხაზიის“, „სოვეტსკაია ადეარიას“ „სოვეტ ირისთონის“, ეუურნალების „საქართველოს სახალხო მეურნეობის“, „ნიანგის“ რედაქციები, სიღნაღის გაგრის, მახარაძის, გურჯაანის, ბათუმის, სამტრედიის, გორის, ახალციხის, აბაშის რაიგაზეთები, მრავალტიროანი გაზეთი „ავტოტრანსპორტელი“.

მრავალი სასიხარულო ცნობა მიიღო რედაქციამ ტრესასწაულის ღღეებში. **საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებების, წლიური და 11 თვის გეგმების შესრულებაზე, ცალკეული საწარმოების, საამქროების, ბრიგადების და ცვლების წარმატებებზე გვწერდნენ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტები, საზოგადოებრივი მუშაკები, ფაბრიკებისა და ქარხნების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მუშკორები.**

სასახელო მიჩვენებლებით შეხვდნენ დიადი თარიღს **ქ. თბილისის სამრეწველო საწარმოები.** საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელა **საქართველოს ფეხსაცმლის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ; ქართველმა მეფეხსაცმლეებმა ვალდებულებით გათვალისწინებული 1,2 მილიონი მანეთის ნაცვლად 1,5 მილიონი მანეთი ეკონომია მისცეს სამშობლოს. წარმატებით იშრომეს თბილისის № 1, № 2 ფაბრიკებმა.**

საოქტომბეროდ ნაკისრი ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას უპატაკებენ რედაქციას **თბილისის სახელო ჩარხების ქარხნის, თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკისა და მრავალი სხვა საწარმოს კოლექტივები.**

საიუბილეო ვახტზე იდგნენ **ქ. ჯუთაისის სამრეწველო საწარმოებიც.** საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებები, წლიური გეგმები და 11 თვის გეგმები წარმატებით შესრულეს **ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა, რომელმაც წლიური გეგმის ზევით 520 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, რძის ქარხნის კოლექტივმა და სხვა საწარმოებმა.**

ქუთაისელებთან ერთად სასახელოდ იმუშავეს **წულუკიძის სინთეზური მასალების ქარხანამ და წყალტუბოს ქიმიური ქარხნის კოლექტივმა.**

როგორ იშრომეს საიუბილეო წლის საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა — ჭიათურელმა მაღაროელებმა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა დღესასწაულამდე და ამ დღეებში მიღებული წერილები.

— იუბილემდე შესრულა წლიური გეგმა ჭიათურის **მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა.** მარტო თვითლარიბულების შემცირებით მაღაროელებმა 140 ათასი მანეთი დაუზოგეს სამშობლოს.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებზე გვწერენ თავიანთ წერილებში: **კალინინის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელი ფაბრიკის უფროსი ი. აბულაძე, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს პეროკსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის გამგე გ. გაფრინდაშვილი, ცენტრალური დამყენი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ა. გაბეჩავა, პარტბიუროს მდივანი ნ. ბიწაძე, პერევისის მაღაროს დირექტორი ს. პეტრიაშვილი, პარტბიუროს მდივანი პ. ფალავანდიშვილი, დიმიტროვის სახელობის მაღაროს დირექტორი ნ. ჩხეიძელი, ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორი ლ. ჩხაიძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ცვლის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. მელქაძე, მარელისის გრეხილი ავჭალის ფაბრიკის დირექტორი ლ. ნამგალაძე, ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის“ ეკონომიური განყოფილების უფროსი ი. მესხი და სხვები...**

საწარმოო გეგმების შესრულებას გვიპატაკებს **უნგურეხის სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოს კოლექტივი, აბაშის მექანიკური ქარხნისა და ცხაკაიის ხაოიანი ქსოვილების საქსოვი ფაბრიკის** საიუბილეო წარმატებებზე გვწერენ საზოგადოებრივი კორესპონდენტები ვ. ცომაია და ს. კუჭავა.

საყოველთაო საიუბილეო შრომითი ალმავლობა იკრძნობა **ახალციხიდან** მოსულ წერილებშიც.

დღესასწაულისათვის შესარულა საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებანი **აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა. მოპოვებულია 3.200 ტონა ნატეხი დიატომიტი, 1.400 ტონა დაფქული დიატომიტი და 1.500 კილოგრამი ტექნიკური აქატი.**

ახალციხის ელექტროძრავების ქარხნის საიუბილეო შრომითის საქმიანობაზე მოგვითხრობს თავის წერილში ქარხნის დირექტორი **ბ. გასპარაშვილი. ყველ-ქარაქის მთავარი ქარხნის** კოლექტივის მიერ წლიური დავალების შესრულების შესახებ გვწერს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი.

კოლმეურნეობებთან ერთად სასახელოდ შრომობენ საიუბილეო წლის **კახეთის** რაიონების საწარმოები.

თელავის საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მიერ წლიური გეგმის შესრულებაზე გვწერს **დ. გერგაშვილი. უბანმა 9 თვეში შეასრულა წლიური გეგმა!** წლიური გეგმის ადრეადე შესრულება გეპატაკება აგრეთვე **თელავის № 4 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც 185.100 მანეთის სამუშაო შეასრულა და ამჟამად 1968 წლის ანგარიშში მუშაობს.** საიუბილეო წლის წარმატებებს მიაღწიეს **თელავის წყალსადენის შადაქსილის, იყალთოს ღვინის ქარხნის, მარმარილოს კომბინატის, „თელავგაზის“ სარაიონთაშორისო სამონტაჟო-საექსპლოატაციო კანტორის, თელავის ნინდების. ამრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკების, ახმეტის ხისდამუშავებელი** კომბინატის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

საიუბილეო წლის შრომითი საყოველთაო ალმაცლობა გრძელდება. რედაქციაში ნაკადად მოდიოდა პატაკები, წერილები, კორესპონდენციები, რომლებშიც იგრძნობა შრომის ჯანსაღი მაჯისცემა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ხელმოს მოწვეულ ემბრიონ საბჭოს ბერრ სხდომა, რომ განეხილათ საკითხი, რომ გრძელდება იმპერიალისტური ძალების ჩარევა კინშასის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე გამოსულმა ბურუნდის წარმომადგენელმა ტერენს სსანზამ ხაზი გაუსვა, რომ ახალი აგრესია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ წინასწარ დაგეგმილი შეთქმულებაა მთელი რიგი იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც ამჟამ ცდილობენ აღადგინონ აფრიკის კონტინენტზე კოლონიალიზმის სისტემა. აფრიკის ყველა განვითარებადი სახელმწიფოს სახელით ტერენს სსანზამ განაცხადა, რომ ამ სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაუშვან წარსულის დაბრუნება, მზად არიან დაიცვან აფრიკა ნეოკოლონიალიზმის ხელყოფისაგან.

აფრიკის ხალხებს მიაჩნიათ, რომ აგრესია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულია მთელი აფრიკის კონტინენტის წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნის არა მარტო აფრიკის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობას, განაცხადა ზამბიის წარმომადგენელმა ჯოზეფ ბენ მვემბამ, რომელიც აგრეთვე უშიშროების საბჭოს დღეიანდელ სხდომაზე გამოვიდა. მვემბამ სავსებით დაუჭირა მხარი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც მოითხოვს უშიშროების საბჭოსაგან დაგმოს პორტუგალიის საბჭოსაგან ბოლო ოთხ თვეში ბელგიის მთავრობის მოქმედება და მოუწოდოს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს უარყოფ თავიანთ ტერიტორიაზე ფაქრავეთლთა შეგზავნების პრაქტიკა.

ალჟირის წარმომადგენელმა ტაფეიკ ბუტატურამ ხაზი გაუსვა, რომ აგრესიის უკანასკნელი აქტები კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მხოლოდ ნაწილია სერთაშორისო იმპერიალიზმის აქციათა მთელი სერიისა, რომელიც კვლავ იმედოვნებს აღადგინოს კოლონიალიზმი აფრიკის კონტინენტზე. მხოლოდ კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია, თქვა ალჟირის წარმომადგენელმა, იქნება მშვიდობისა და სტაბილურობის საწინდარი აფრიკის კონტინენტზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმთავრესი მოვალეობაა მიაღწიოს ამას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲕᲘᲜᲐᲚᲔᲗ...

ლონდონი, 10 ნოემბერი (საკდესი). ისრაელის ჯარები, რომლებმაც არაბული ტერიტორიები დაიპყრეს აგრესიული ომის მეოთხე დღე, ხვრეტენ ლტოლვილებს და ანგრევენ მშვიდობიან მცხოვრებთა სოფლებს. ამის შესახებ წერს თავის უკანასკნელ ნომერში ინგლისის ყოველკვირეული „პის ნიუსი“, რომელსაც მოჰყავს იმ ისრაელ ჟურნალისტთა და ჯარისკაცთა განცხადებანი, რომლებმაც თავიანთი თვალით ნახეს ისრაელის მბრდრონის ბოროტმოქმედება არაბეთის ქვეყნებში.

„ქვეგანაყოფის მეთაურთა გვიბრძანა სამი სოფელი დაგვენგრია ჩვენს სექტორში, — ნათქვამია ერთ-ერთ წერილში. — ეს გადაწყვეტილება აიხსნებოდა სტრატეგიული, ტაქტიკური მოსაზრებებითა და უშიშროების მოსაზრებებით, რათა გაგვეწყვრებინა საზღვარი ლატრუნთან“. სამივე სოფლის მცხოვრებლები გაყარეს მათი სახლებიდან, ხოლო სახლები ბულდოზერებით დანგრიეს.

„ყოველ ღამით არაბები მდინარე იორდანის აღმოსავლეთი ნაპირიდან დასავლეთ ნაპირზე გადმოდიან, — ნათქვამია წერილში.— დავიკავეთ ყველა ადგილი, სადაც ფონით შეიძლებოდა მდინარეზე გადმოსვლა და ნაჩრძანები გვაქვს გაუფრთხილებლად ვესროლოთ ხალხს. ფაქტიურად ყოველ ღამე ვესროდით მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს, ქვსროდით მთვარიან ღამეებშიც, როცა შეგვეძლო გგვეგრჩია სად იყო მამაკაცი, ბავშვი თუ ქალი. დილით ვიჩხრეკდით მთელ რაიონს, და, ოფიცერთა ბრძანებით, ვესროდით ყველაფერს, რაც მოძრაობდა, ადამიანებსაც, რომლებიც იმალებოდნენ ან დაჭრილი იყვნენ. და კვლავ ვხოცავდით მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს. ზოგი კონტრაბანდისტი იყო. მაგრამ ძირითადად ესენი იყვნენ მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის მცხოვრებნი.

როგორც „პის ნიუსი“ წერს, ახალგაზრდა ისრაელი დაეთ მოზესი, რომელმაც საპროტესტო ფურცელი დაწერა დახვრეტების წინააღმდეგ, დაასაბამრეს და ბრალად დასდეს ეროვნული უშიშროების კანონთა დარღვევა.

ᲓᲐᲚᲔᲡᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲠᲘᲜᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი. (საკდესი). ვიეტნამის ომის განგრძობა „ალარ შეიძლება გავამართლოთ“ მორალური პრინციპების თვალსაზრისით, განაცხადა ამერიკის მეერთებული შტატების მთავრობის საგიეტნამო პოლიტიკის ერთ-ერთმა კრიტიკოსმა დემოკრატმა სენატორმა მინესოტის შტატისაგან იუჯინ მაკართმ.

გამოვიდა რა გუშინ ქალაქ სენტ-პოლის (მინესოტის შტატი) ათასსუთასი სტუდენტის აუდიტორიის წინაშე, სენატორმა ბრალი დასდო ამერიკის მთავრობას, რომ იგი პენტაგონთან ერთად აფორთოებს სამარ მოქმედებას, რომელმაც ასეთი მასშტაბს მიაღწია, რომ „შესაძლო ხდება შეეჭრა ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე“. აღნიშნა რა ასეთი პოლიტიკის სერიოზული შედეგები, მაკართმ ვანაცხადა, რომ „კომუნისტური ხელმძღვანელობით გაერთიანებული ვიეტნამი არ უნდა იყოს შეშფოთების მთავარი წყარო“.

სენატორმა მაკართმ მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმისათვის, რომ იგი კვლავ ახორციელებს დალესის დოქტრინას, რომელს შესაბამისად შეერთებულმა შტატებმა იკისრეს ვალდებულება შესრულონ პოლიციის ფუნქციები მთელ მსოფლიოში.

ამერიკის მთავრობამ, თქვა შემდეგ სენატორმა, „ალარად გახადა „თხოვნით ინტერვენციის“ განხორციელების პოლიტიკა, რომლის შესაბამისად იგი სხვადასხვა ქვეყანაში აკეთებდრბს ხელსაყრელ რეჟიმებს, ხოლო შემდეგ მათი ხელმძღვანელების „თხოვნით“ პენტაგონი ბზავნის ძალ თავის ჯარებს.

მაგალითად მაკართმ დაიმოწმა კოჩინჩინის ყურეში მომხდარი ინციდენტი, როცა ამერიკის შეერთებული შტატები აპირებდნენ ხელისუფლების სათავეში დაეყენებინათ კუბელ კონტრრევოლუციონერთა „მეგობრული“ მთავრობა. ხოლო შემდეგ მათი „თხოვნით“ მოეხდინათ ინტერვენცია.

ᲗᲠᲘᲑᲣᲜᲘᲡᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ

იაპონიის მთავრობის დემარში

ტოკიო, 11 ნოემბერი. (საკდესი). იაპონიის მთავრობამ ოკინავის კუნძულების ხელისუფალთ მიმართა თხოვნით, აუკრძალონ უცხოეთის, უმთავრესად ამერიკის კომპანიებს ისეთ საწარმოთა შექმნა, რომელთა კაპიტალების ნახევარზე მეტი მათს ხელში იქნება.

ინფორმაცია იაპონიის მთავრობის ამ დემარშის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ იაპონიის ამ კუნძულებზე უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ფეხს იკიდებს ამერიკის კაპიტალი, გაავრცელა იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელმა პარლამენტში სოციალისტი დეპუტატის „შეკითხვის პასუხად.

იაპონიის მთავრობამ პირველად დაადასტურა ოფიციალურად, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წინააღმდეგი ამერიკის კომპანიათა ცდებს, რომ გაძლიერონ ეკონომიური პოზიციები ამ კუნძულებზე, რომლებიც ოკუპირებული აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, იურიდიულად კი იაპონიას ეკუთვნიან.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ბონი, 11 ნოემბერი (საკდესი). გუშინ ბონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრანდტმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მოწმობს, რომ ბონის მთავრობა ამბობს განაგრძოს ძველი, ანარქიალისტური პოლიტიკა ძირითად საგარეოპოლიტიკურ საკითხებში. ბრანდტმა თქვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა „მზად არის“ „ილუზიას მოკლებული“ პოლიტიკური მოლაპარაკებისათვის. მაგრამ მის გამოთქვამებში კვლავ გაისმა ბონს ილუზორული პრეტენზიები გამოდიოდეს „მთელი გერმანიის“ სახელით და გამოხატეს ეშინა ამბავ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველ წრეებს. დაკონკრეტებლ არ სურთ ცნონ მეორე გერმანული სახელმწიფოს — გეიტნამის ომის განგრძობა „ალარ შეიძლება გავამართლოთ“ მორალური პრინციპების თვალსაზრისით, განაცხადა ამერიკის მეერთებული შტატების მთავრობის საგიეტნამო პოლიტიკის ერთ-ერთმა კრიტიკოსმა დემოკრატმა სენატორმა მინესოტის შტატისაგან იუჯინ მაკართმ.

გამოვიდა რა გუშინ ქალაქ სენტ-პოლის (მინესოტის შტატი) ათასსუთასი სტუდენტის აუდიტორიის წინაშე, სენატორმა ბრალი დასდო ამერიკის მთავრობას, რომ იგი პენტაგონთან ერთად აფორთოებს სამარ მოქმედებას, რომელმაც ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ „შესაძლო ხდება შეეჭრა ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე“. აღნიშნა რა ასეთი პოლიტიკის სერიოზული შედეგები, მაკართმ ვანაცხადა, რომ „კომუნისტური ხელმძღვანელობით გაერთიანებული ვიეტნამი არ უნდა იყოს შეშფოთების მთავარი წყარო“.

სენატორმა მაკართმ მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმისათვის, რომ იგი კვლავ ახორციელებს დალესის დოქტრინას, რომელს შესაბამისად შეერთებულმა შტატებმა იკისრეს ვალდებულება შესრულონ პოლიციის ფუნქციები მთელ მსოფლიოში.

ამერიკის მთავრობამ, თქვა შემდეგ სენატორმა, „ალარად გახადა „თხოვნით ინტერვენციის“ განხორციელების პოლიტიკა, რომლის შესაბამისად იგი სხვადასხვა ქვეყანაში აკეთებდრბს ხელსაყრელ რეჟიმებს, ხოლო შემდეგ მათი ხელმძღვანელების „თხოვნით“ პენტაგონი გზავნის ძალ თავის ჯარებს.

მაგალითად მაკართმ დაიმოწმა კოჩინჩინის ყურეში მომხდარი ინციდენტი, როცა ამერიკის შეერთებული შტატები აპირებდნენ ხელისუფლების სათავეში დაეყენებინათ კუბელ კონტრრევოლუციონერთა „მეგობრული“ მთავრობა. ხოლო შემდეგ მათი „თხოვნით“ მოეხდინათ ინტერვენცია.

ᲜᲔᲝᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲗᲐᲕᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲯᲐᲜᲝᲕᲔᲠᲘ, 11 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტები ვ. სეროვი და ა. სეენეკოვი იუწყებიან:

გუშინ ჯანოვერში გაიხსნა დასავლეთ გერმანიის ნეოფაშისტური პარტიის ყრილობა, რომელიც თავის თავს „ნაციონალ-დემოკრატიულს“ უწოდებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მხარიდან ჯანოვერში ჩამოსულ ახობით დელეგატს დაუთმეს ქალაქის უდიდესი დარბაზი „შტადტ-ჰალე“. დარბაზი მორთულია ამ ნეოფაშისტური პარტიის ემბლემებით, რომლებიც მოგვაგონებენ მისი წინამორბედის — ჰიტლერის ნაციესტური პარტიის ემბლემას, ახლა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას ჰყავს თითქმის 30 ათასი წევრი. მან შეძლო თავისი წარმომადგენლები გაეყვანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ექვსი მხარის ლანდტაგებში.

დელეგატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს პარტიის თავმჯდომარის მოადგილეობის შემსრულებელმა გუტმანმა. მან განაცხადა, რომ ჯანოვერის ყრილობა „ახალ თავს გადაშლის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ისტორიაში“. აღნიშნა რა, რომ ყრილობის მთავარი მიზანია პარტიის ახალი პროგრამის მიღება, მან განაცხადა: „დაე ეს პროგრამა დაგვეხმაროს შეგაცოცხლოთ ბუნდესტაგის ცარი“.

ახალ პროგრამაში, რომლის პროექტი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ წარუდგინა ყრილობას დელეგატებს, ამჟამად წამოყენებულია რევანშისტული პრეტენზიები ტერიტორიებზე, ოფიციალურ სოციალისტური სახელმწიფოების შემადგენლობაში შედის. „ჩვენ არ ვცნობთ 1945 წლის საზღვრების რეალობას“; „არავის არა აქვს უფლება უარი თქვას პრეტენზიაზე აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ“; „1945 წლის სამხედრო კაპიტულაციას არ მოუსპია გერმანიის რაიხი“ — აცხადებენ პროგრამის ავტორები. ამომრჩეველთა მოზიდვის მიზნით ნეოფაშისტები, თავიანთ წინამორბედთა მაგალითისამებრ, ფართოდ იყენებენ სოციალურ დემაგოგიას. პროგრამა მუშებს პირდება „გარანტირებულ სამუშაო ადგილს“, გლეხებს — „ხელსაყრელ კრედიტებს“, საშუალო წოდებას — „გადასახადთა შემცირებას“. ამავე დროს პროგრამას საჭიროდ მიაჩნია „მსხვილ საწარმოთა შემდგომი კონცენტრაცია“.

ნეოფაშისტთა ყრილობა 12 ნოემბრამდე გასტანს.

ამაზე როცა „შტადტ-ჰალეს“ შენობაში გაიხსნა ნეონაცისტთა ყრილობა, გუშინ საღამოს ჯანოვერის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი.

მიტინგის მონაწილეებს მოჰკრნდათ ტრანსპარანტები ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებენ ხალხს იბრძოლოს დასავლეთ გერმანიაში ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ.

„წონაცისტებო, გაეცალეთ ჩვენს ქალაქს“; „ჩვენ არ გვჭირდება ახალი აღორძინება“; „დაიცავით დემოკრატია“; „დღეს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა — ხვალ პროფკავშირების დარბევა“ — ნათქვამია დემონსტრანტთა მოწოდებებში.

მიტინგზე, რომელიც მოიწვია ორგანიზაცია „დემოკრატიის დაცვის კომიტეტ-ოლიმმა“, გამოვიდნენ დასავლეთ გერმანიის ჯანოვერის ოლქის პროფკავშირთა გაერთიანების ორგანიზაციის თავმჯდომარე ფრიდრიხ ტაილმანი, ქვემო საქსონიის მხარის გერმანელ სტუდენტთა კავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გეორგ ფერხი, ჯანოვერის უმაღლესი ტექნიკური სკოლის პროფესორი პეტერ ბრიუერი და სხვები.

ისინი მოუწოდებდნენ აქტიური მოქმედებისათვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნეონაცისტების აღორძინების წინააღმდეგ.

ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 ნოემბერი (საკდესი). ეროვნულ ბანკში ოქროს ფონდის საბჭოს ბანკის ნაწილებმა 7 და 8 ნოემბერს ჩამოაგდეს ამერიკის კიდევ ოცი თვითმფრინავი, რომლებიც შეშფოთებულნ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, გადმოსცემს რა ამ დამატებით მონაცემებს, გვკაკუნებს, რომ სულ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოაგდეს ამერიკის 2.521 თვითმფრინავი.

ᲐᲠᲛᲘᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ

ᲯᲐᲜᲝᲕᲔᲠᲘ, 11 ნოემბერი, (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლები აყენებენ ამერიკისა და მათი მარიონეტების ჯარებს. ოთხ დღეში, 4 ნოემბრიდან 7 ნოემბრამდე, მათ მოკლეს რიგი მასირებელი ოფიცრები მიიტანეს ამერიკელთა და მარიონეტთა ჯარების პოზიციებზე მიტბომ, ბიენჰოისა და თხუბუამტის პროვინციებში. ამის შედეგად მწყობრიდან გამოყვანილია მარიონეტული ჯარების 1300 ჯარისკაცი და ოფიცერი და ამერიკელთა ერთი ასეული, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც სააგენტო განთავისუფლებას იმოწმებს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 11 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მოიწონა ქვეყნის 1968 წლის ახალი ბიუჯეტი. ბიუჯეტი ითვალისწინებს საერთო შემოსავალს 127.967 მილიონი ფრანკის ოდენობით და გასავალს 127.812 მილიონი ფრანკის ოდენობით.

ᲓᲐ

საჯარო განმეტკიცებული ძმობა

ყველას აქვს თავისი ნათელი, დაუვიწყარი დღეები. ჩემთვის ასეთი დღე იყო ნატანებელთა და ნალბანდიანელთა პირველი შეხვედრა. ეს იყო ოცდაათი წლის წინათ.

...1937 წლის სექტემბერი. ზღვისპირეთის კოჯახპირული წვიმა. უსასრულო და გულისგამაწვრილებელი ნისლი. ჩვენი ემბიანი ძმიმე ქშენით ძლივს აღმართს, ირგვლივ გუბე, ჭაობი, ტალახი...

გაზეთ „პროლეტარის" რედაქციის დავალებით ჩავედით ნატანებში. აქ ლენინის სახელობის და ბოქტომბერიანის რაიონის სოფელ დიდი შაჰრარის (ახლა ნალბანდიანი) კოლმეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად ვართ. პირველი შეხვედრა, პირველი ხელშეკრულება!

ვთვალიერებ არემარეს და ვფიქრობ, ვიგონებ საფუძვლების მიღმა ჩაფერფლილ წარსულს, ნათელ აწმყოს და ვოცნებობ უფრო ბედნიერ მომავალზე. უძველესია ქართველ-სომეხთა მეგობრობა, ისევე უძველესი, როგორც თვით დედამიწა, ნაცადი და ურყევი, მტკიცე და ურღვევი. ეს მეგობრობა ნაშენებია საერთო ტრაბის წინააღმდეგ ჩვენი სახელოვანი წინაპრების სისხლით შემტკიცებული ძმობით.

მეგობრობა! რამდენ ლექსსა და სიმღერას, რამდენ ფუნჯს და საკრეთელს, გულიდან ამომხეთარ რამდენ ჰანგს შეუსხამს ხოტბა ამ სიტყვისათვის. უკვდავ შოთას უთქვამს:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა
არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული
ჯნად და ბიდად".

„იმ თავითვე შენ ხარ ბრძენი"... ასე იწყებს ამიერკავკასიის სამხმიანი ბულბული საიათ-ნოვა ერეკლეს ხოტბას. გავიხსენოთ როგორ უმღერიან მეგობრობას ჩვენი ახლო წარსულის დიდი მგოსნები აკაკი, ვაჟა, სუნდუკიანი, ილია, თუმანიანი,... ჩვენი დროის სასიქადულო მწერლები. გრიშაშვილი, ლონინე, აბაშიძე, ისაკიანი, დემირჩიანი, ჩარენცი...

განა დღეს ისევე არა ყღერს მრავალი ათეული წლის წინათ შექმნილი ის მგზნებარე ლექსი, რომელიც ოვანეს თუმანიანმა მიუძღვნა საქართველოს პოეტებს?..

„არა! რუსთველის ოქროს სიტყვები
რიდი სმაურობს მჭელედ და დუნეთა,
მის ამაყ აჩრდილს დღეს თქვენც მიმყვებით,
ვერა გძლევთ ტანჯვა საუკუნეთა".

საქართველოში თუ სომხეთში ვის არ გაუგონია ლექსი, რომელიც ეკუთვნის ჩვენი დროის ერთ-ერთ ნიჭიერ პოეტს ოსიფს ნონეშვილს:

„ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება, —
ეს სამი სიტყვა ერთი გგქონია.
ამ სიტყვებს თარგმნა არა სჭირდება,
დედის კალთაშიც გაგვიგონია".

ქართველ და სომეხ ხალხებს, ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ერს, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების საფუძველი ჩაეყარა 50 წლის წინათ — დიდი ოქტომბრის ქარცეცხლში. ამ თარიღთან არის დაკავშირებული მთელი ჩვენი ქვეყნის აღორძინება და აყვავება. ოქტომბრის კაშკაშა ბჟით განათლებული ხალხთა ძმობაც და მეგობრობაც ახალი ელფერით, ახალი შინაარსით გაბრწყინდა. მხოლოდ ოქტომბრის მზემ გაფანტა ჩვენს მიწაწყალზე ჩამოწოლილი შავი ღრუბელი — მეფის რუსეთის მემკვიდრეობა: სიბნელე, სიღატაკე, უმწეობა. მხოლოდ ოქტომბერმა იხსნა ჩვენი ხალხები სრული გაფლეთისაგან, მრავალთა შორის ქართველ და სომეხ ერებს მოუტანა საამური და ბედნიერი ცხოვრება.

ნატანებელთა და ნალბანდიანელთა შეჯიბრება, რომელსაც უკვე 30 წლის ისტორია აქვს, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია. სამი ათეული წელი! ისტორიისათვის ეს მხოლოდ წამია, მაგრამ რაოდენ შეიცვალა ჩვენი მოა-ბარი ამ მცირე ხნის განმავლობაში!, რა იყო ოცდაათი წლის წინათ სარდარაბადის (ახლა ბოქტემბერიანის) უკაცრიელ ველზე შაჰრიანი (ახლა ნალბანდიანი), ან და ჭალბისა და კოღოს ბუდე ნატანები? პირველში — თიხით წალესი მიწურები, აქა-იქ ოაზისავით გამოყოფილი ღარები და უწყლო ბოსტანი... მეორეში კი — მამაპაპური ყავრით გადახურული ფიცრული ოდები — ცივი და ნესტიანი, ჩაისა და ციტრუსების უმნიშვნელო ნაკვეთები...

უყურებ დღეს ამ ორ სოფელს, და ერთხელ კიდევ რწმუნდები შეჯიბრების ცხოველმყოფელ ძალაში. სულ სხვა პეიზაჟი, სხვა სურათი იშლება დღეს, სულ სხვა ადამიანები გვხვდებიან. ნაგებობებში — ქვა, ჯგური და კრამიტი, ნათელი ფანჯრები და ფართო აივნები, ხოლო მინდორს ამშვენებენ ჩაის, ციტრუსების თვალუწვდენი პლანტაციები, ვენახები, ხუროთმოძღვრული ხელოვნების უკანასკნელი სიტყვით აგებული ადმინისტრაციული და კულტურული დაწესებულებების შენობები — კოლმეურნეობების კანტორები, კულტურის სახლები, კლუბები, სკოლები, ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები, სიბავშვო ბაღები და ბაგები, ელიჩის ნათურებით გაჩირაღდნებული ოდასახლები, რადიო, კინო, ტელევიზორი...

არარატის ველიც, სულ რაღაც 30 წლის წინათ ხრიოკი, ნარეკლიანი და ქვეწარმავლებით სავსე უდაბნო, დღეს სოფლების მარგალიტია, ქვეყნის ბეღელია.

ახლა მარტო არარატის ველზე იმდენი ყურძენი და ხილი მოდის. რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელ სომხეთში მოდიოდა. ეული ნამდვილ ბაღნარად აქცია პირველმა არხმა, რომელიც მდინარე არაკსიდან გაიყვანეს. ბევრი თქმულება და სიმღერაა დაკავშირებული ამ მდინარესთან, ისევე როგორც ალაზანთან.

სულ 35 წლის ისტორია აქვს რაიონულ ცენტრს, რომელიც დიდი რევოლუციის პატივსაცემად ოქტომბრის სახელს ატარებს, ქალაქი ბოქტემბერიანი გაშენებულია ტრიალ მინდორზე. დღეს

ამას ამშვენებს მრავალსართულიანი შენობები, ფართო მოასფალტებული ქუჩები, ჩრდილუხვი ხეივნები და შადრევნები. ბოქტემბერიანის სიამაყე საკონსერვო ქარხანა, მევენახეობისა და მებაღეობის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ათასობით ტონა საუკეთესო ხილს აძლევენ რესპუბლიკას.

საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ერთიორად იზრდებოდა ნალბანდიანელთა შემოსავალი. 1956 წელს 475.000 მანეთიდან შარშან 1.200.000 მანეთს მიაღწია შრომადღის ღირებულებამ სათანადოდ — 1 მანეთი და 30 კაპიკიდან 8 მანეთსა და 50 კაპიკს. კოლმეურნეობა დიდ შემოსავალს იღებს ყურძნიდან, ხაზამთრიდან, გერანიდან, ბოსტნეული კულტურებიდან. შარშან 12 ჰექტარი გერანის საშუალოდ ჰექტარზე 357 ცენტნერი ნედლეული მიიღეს. ასეთი სარეკორდო მოსავალი გერანის სამშობლოშიც — საბერძნეთშიც არ მოდის. დღეს აქ სახელი გაითქვეს საკოლმეურნეო შრომის ისეთმა მოწინავეებმა, როგორიც არიან კორიუნ პოღოსიანი, დავით შაჰბაზიანი, მიჰრან მანუკიანი, თამარ ბადალიანი და სხვ.

მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის მრავალი შესანიშნავი ტრადიცია აკავშირებს ამ ორ კოლმეურნეობას. ათი წლის წინათ, როცა ისინი შეჯიბრების ოცი წლისთავს აღნიშნავდნენ, ნატანებლებმა ნალბანდიანში ჩაიტანეს ქანდაკება, რომელიც ახლაც აკაკის და სუნდუკიანის გულთბილ საუბარს, მის კვარცხლბეკზე ელავდა საქართველოს ბულბულის სიტყვები:

„შენ სომეხი ხარ, და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწაწყლის,
ერთი მიდამოს და ერთი მთისა".

თავის მხრივ ნალბანდიანელებმა მეგობრებს საჩუქრად მიართვეს ქართულად მოჩუქურთმებული აბრეშუმის ხალიჩა უკვდავი შოთას პორტრეტით და „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციების ფრაგმენტებით, რომელიც ამშვენებს ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან შექმნილ მეგობრობის მუზეუმს. ორივე რესპუბლიკაში გაზეთი და ყურნალი არ დარჩენილა, რომ გულწრფელი სტრიქონები არ მიეძღვნა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის. ორივე კოლმეურნეობის ზვრებში გამოყოფილ იქნა მიწის ნაკვეთები, რომლებსაც „მეგობრობის ბაღი" უწოდეს.

„მეგობრობის ბაღის" იდეა დაიბადა ამ კოლმეურნეობათა მეგობრობის ამსახველი სცენარის დამუშავების დროს ფერადი დოკუმენტური ფილმისათვის „ურღვევი მეგობრობა" (რეჟისორი შალვა ხომერიკი, ოპერატორი ლევან არზუმანოვი). აღსანიშნავია, რომ თბილისს ლენინის სახელობის კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა" შექმნა სურათის

რებით თურქეთი, ან ირანი... განაცხადეთ, „კულტურით თუ ინდუსტრიით. საქართველო მეტ ელმავალს უმვებს, ვიდრე საფრანგეთი! მაოფლიონი პირველი ადგილი გვაქვს ყოველ 100 მცხოვრებზე უმაღლეს განათლების მქონეთა რაოდენობით. აკადემიები გვაქვს ახლა ქართველებს!

შაკაბაზმა, სისხლს რომ სვამდა და ლექსებს რომ წერდა, ასი ათასი ქართველი აყარა დედა მიწიდან, მზით გადაბრუკულ ირანისა და მუღანის ტიალ უდაბნოებზე ვლეტაწრნენ სამშობლოდან სამუდამოდ გაძევებულნი. გრძელი და ძნელი იყო გზა. ხორასანში, მაზანდერანსა და ფერეიდანში ჩასასლეს, ვინც გზას გადაურჩა. მათ ნაშიერს ახლაც ენატრებათ „დიდი სამშობლო" მთაბარი!

მართლაც ვერკინ მოთვლის ქართველის ჯირს!...

მივყვები „ბოლშაია გრუზინსკაიას". ჩემი მეგზური აქაური კაცია, მოსკოველი, ამ ქუჩაზე ცხოვრობს, აი იმ დიდ სახლში. გვაროვან ქობულაშვილია, ალექსანდრე ქვენი, ამალეგზრდაა, ასე ოცდაათი წლისა თუ იქნება. ასპირანტია. ინჟინერი, როგორც ყველა ჭკვიან კაცს, ლაპარაკს გაჩუმება ურჩევნია, როცა ფიქრი გჭირობს, რა სჯობს ასეთ თანამგზავრს, მაგრამ ზედმიწევნით კარგად იცის „ბოლშაია გრუზინსკაიას" ისტორია და შეკითხვის შეკითხვაზე ვაძლევ, ალექსანდრეს მეუღლე ეურნალისტი ქალია და ჩანს იცის, ჩვენი ხელობის კაცს რა აინტერესებს, ისეთ პასუხებს მაძლევს, ლამის გზადაგზა ჩაგიწერო ბლოკნოტში ყველაფერი.

— საინტერესოა მოსკოვში რამდენი ქართველი მოსახლე იქნება? — ვეკითხები მე.

— ბევრი!.. — მპასუხობ ზოგადად.

— მაინც, მაინც...

— ასე ასი ათასამდე?..

მეტი ვიდრე ვახტანგ მეფის დროს?..

მაშინ 73 ოჯახი იყო, — აი იქ, — ახლანდელ ზოოპარკისაკენ მიმითითებს, — აი იქ იყო ვახტანგ მეფის სასახლე. 1729 წელს უბოძეს ეს ადგილმამული, აქ დასახლდა დიდებულთა მრავალრიცხოვანი ამალითა და 3 ათასი მდევარი... მაშინ ვახტანგ მეფეს საშენი მასალისა და ხორაგის გარდა 10 ათასი ოქრო ებოძა. ეს იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა იყო. ქართველები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, არც ბეგარას იხდიდნენ და არც სამხედრო სამსახურში იწვევდნენ ქართველთა მეფის უნებართვოდ. „გრუზინსკაია სლობოდა" — ასე ეძახდნენ ამ ადგილებს, 1812 წლის ხანძარს გადაურჩა ეს „სლობოდა"... ტყუილად არ იბრძოდნენ ქართველები ბოროდინის ველზე... დღემდე მოღწეული, სამშუაროდ არარული საბუთებით, ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში 72 ქართველს მიუღია მონაწილეობა, 12 გენერალი ყოფილა, ორი ბაგრატიონი, ორი იამვილი ორი ფანჩუ-ლიძე, სამი ჯაგასიშვილი, სიმონ გამგებლიშვილი, ანტონ შალიკაშვილი და პავლე ბიბილური.

ერთი ია ვლადიმერ იაშვილი გახლავთ, პავლე პირველის მოკვლის მონაწილე რომ იყო. დღემდე მოღწეულია ის წერილი, პავლე I-ის შვილს ალექსანდრე პირველს რომ მისწერა ვლადიმერ იაშვილმა. ეს წერილი თავისუფლების და სამშობლოს სიყვარულის, ვაჟკაცობისა და პირდაპირობის ბრწყინვალე ნიმუშია, და სამწუხაროა, რომ მას ბევრი არ იცნობს.

„ხელმწიფეო, იმ წუთიდან, როდესაც მამათქვენი ტახტზე ავიდა, მე გადაგწყვიტე, თუ კი საჭირო იქნებოდა, თავი შეგწირა რუსეთის კეთილდღეობისათვის, ან უბედური რუსეთისა, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ მეფეროშეების ხელში სათამაშო ბურთად იქცა, მერე კი მსხვერპლიც გახდა მათი...

ჩვენს სამშობლოს თვითმპყრობელი ხელისუფალი მართავს, მილიონების ბედი ერთი ადამიანის ჭკუაგონებაზეა დამოკიდებული, პეტრე დიდის მმართველობის დროს ქვეყანა მოსვენებული იყო, მაგრამ გენიოსები იშვიათნი არიან. ღმერთმა იცის, რომ ჩვენ ხელები სისხლში ანგარების მიზნით არ გაგვისვრია, და „ხსნეფრძელი ნუ იქნება უსარგებლო, შეიგნეთ თქვენი დანიშნულება, იყავით ტახტზე. პატიოსანი ადამიანი და რუსი მოქალაქე, გახსოვდეთ, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. და ნუ მიიყვანთ სამშობლოს დაღუპვის კარამდე. კაცი, რომელიც სიცოცხლეს სწირავს რუსეთს, უფლებამოსილია გითხრათ თქვენ ეს. მე ახლა უფრო დიდი ვარ, ვიდრე თქვენ!..."

მივყვებით „ბოლშაია გრუზინსკაიას", იმ ბაღამდე მივედით, სადაც რუსთაველის ძეგლი დგას.

რუსთაველის ძეგლი ფედერაციული გერმანიის საელჩოს წინ დგას, ეს ძეგლი რომ გახსნეს (რუსთაველის დღეებში), აქ ვიყავი, ზღვა ხალხი იყო, უფრო მეტი სიხარული... (ზუსტად იმ დღეებში, პუშკინის ძეგლი რომ დაამკვრიეს ჩინეთში). ახლაც მახსოვს საელჩოს ფანჯრებში გაკვირვებული სახეები. უკვირს გერმანიას... ინგლისსაც უკვირს, ამერიკასაც... ალბათ ბევრს უკვირს ჩვენი მეგობრობა. რა იცან, რომ ამ ძმობას საუკუნეებრივი ღრმა და ძლიერი ფესვებმ აქვს... რომ ბოროდინოს ველზე მარჯანიშვილ ბაგრატიონი, დონის მონასტერში ვახუშტი ბაგრატიონი, მოსკოვში დაფლა სული საბა-სულხან ორბელიანმა...

„კრემლის კედელთან დამარხულ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან აკრეფილნი შავით მოსილი ქართველი მანდილოსანიც მინახავს. ჯარისკაცის საფლავს ქართველი დედაც დასტირის... არც დიდ სამამულო ომში შეურცხვენიათ თავი ჩვენს ბიჭებს, მხარდამხარ, მკერდით იცავდნენ მოსკოვს...

პანფილოვის სახელობის მე-8 გვარდიული დივიზიის მეტყვეამფრქვეველების, ბიძაშვილების ფილიპე და სიმონ კაკუტიების შესახებ 1941 წელს „პრავდა" წერდა, მათმა ბაკაცობამ მთელი ფრონტი გააკვირვა.

ჩვენი ქუჩა

მეგობრობა გზად და სიდად

ეს ბიბილური ამბავი ალექსანდრეს ბებიამ ბებიისგან ოჯახურ ლეგენდად ჰქონია. ეს ბებია ალექსანდრეს ბაბუის ბაბუის ბაბუის

ჩვენს კრებ-ბურთში

ᲒᲐᲖᲐᲢᲧᲝᲛᲑᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ „ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲛᲘᲢᲔᲥᲚᲕᲜᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). აქ გაიმართა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც მოაწყეს სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა და საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა ორგანიზაციამ.

სესიაზე, რომელიც გახსნა პარტიის სიღნაღის რაიკომის მეორე მდივანმა რ. აბულაშვილმა, მოისმინეს მოხსენებები: ვლ. ყანდაშვილისა — „სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოკლე მიმოხილვა“, ა. ჩინჩალაძისა — „რსდმპ პირველი ორგანიზაციები სიღნაღის მაზრაში“, შ. შალვაშვილისა — „სიღნაღის მაზრის გლეხთა ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ“, ლ. ბეგიაშვილისა — „ოქტომბრისწინა პერიოდის ასახვა გაზეთში „ხმა კახეთისა“, გ. ყაჯრიშვილისა — „სიღნაღის რაიონული პრესა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში“.

სამეცნიერო სესიაზე, რომელსაც 250 კაცი დაესწრო, სიტყვები წარმოთქვეს შ. მახაშვილმა, ვ. დავითაშვილმა, ი. სიმონიშვილმა. თ. კახელიშვილმა.

ᲨᲔᲜᲓᲒᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 11 ნოემბერი (საქდესი). დიდპანელიანი სახლსამშენებელი კომბინატის კოლექტივმა საავტომობილო ქარხნის მუშათა დასახლებაში დაიწყო პირველი მაღალტერიანი საცხოვრებელი სახლის აგება.

სახლის მონტაჟზე გულმოდგინედ მუშაობს მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ვ. აბზიანიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თერმიტი სახლი დაამონტაჟა და გადასცა საექსპლოატაციოდ.

მკითხველთა ექსკურსია

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ. ჩაქვის საბავშვო საბჭოს ბიბლიოთეკამ, რომლის გამგეა ბ. ᲣᲮᲠᲔᲚᲘᲫᲔ, მოაწყო აქტიურ მკითხველ დიასახლისთა ექსკურსია. ექსკურსანტებმა ყურადღებით დაათვალიერეს გელათი, სათაფლია და კურორტი წყალტუბო.

Ჯ. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲝᲠᲨᲘ

ᲒᲝᲠᲘᲡ რაიონში იწყობა სახლ-მუზეუმები. სოფელ არბოში იხსნება ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი. სოფელ მერეთში — ანტონ თურაველიძის სახლ-მუზეუმი.

რაიონის მშრომელთა გადაწყვეტილებაა ახლო მომავალში მოაწყონ ავლითვე ლადო კაციხოველის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასა და თედო რაზიკაშვილის სახლ-მუზეუმები.

ᲒᲝᲠᲒᲚᲐ დიასახლისებმა გადაწყვიტეს შეისწავლონ მმობლიური მხარე, ინახულონ რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილები. დიასახლისები უკვე იყვნენ იმერეთში, საქმგრელოსა და აფხაზეთში, მათი მომავალი მარშრუტია კახეთის რაიონები.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ საჯიდაო დარბაზში გასტროლები გამართეს მოსკოვის მოძრავი ცირკის მსახიობებმა. მოსკოველმა მსახიობებმა განახლებული პროგრამა წარმოადგინეს. (საქდესი).

ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის ცენტრში აღიმართა მონუმენტური შენობა, რომელიც მოპირკეთებულია ეკლარის ძვირფასი ქვით. ეს არის კულტურის სასახლე, რომელიც აშენდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, არქიტექტორ კ. ჩხეიძის პროექტით.

კულტურის სასახლის გახსნისადმი მიძღვნილი მეტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. აბესაძემ.

ჭიათურელ მშრომელებს კულტურის სახლის გახსნა მიულოცეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორმა ს. ცომაიამ, არქიტექტორმა კ. ჩხეიძემ, მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომის თავმჯდომარემ ბ. გამყრელიძემ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ მხატვარ გ. თოფურიას სურათი „ქართველი გოგონები“.

ᲣᲙᲠᲐᲕᲡ ᲜᲐᲜᲐ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის, კარგი ტრადიცია აქვს. დროდადრო საანგარიშო კონცერტებით მუსიკალური აზოგადოებრიობის წინაშე გამოდიან სტუდენტი პიანისტები, ვოკალისტები, ინსტრუმენტალისტები.

ამჯერად სასწავლებლის მცირე დარბაზში მეოთხე კურსის სტუდენტი ნანა მირცხულავა (პროფესორ ე. გურევიჩის კლასი) გამოვიდა სოლო კონცერტით, რომლის პროგრამაში იყო ბახი და პროკოფიევი.

პროგრამის ასეთი მუსიკალურად სპირისპირო და განსხვავებული ხასიათი რთული და დიდი შემოქმედებითი ამოცანის ამოხსნას მოითხოვს.

პირველ განყოფილებაში კონცერტანტმა შეასრულა ბახის ფრანგული სიუიტა სოლ-მაჟორი, პარტიტა სოლ-მაჟორი, ქრომატიული ფანტაზია და ფუგა. მკვეთრი რიტმი, პოლიფონიური ქარგის ნათელი ყოლერადობა შეიძლება ახალგაზრდა პიანისტის ღირსებად მივაწეროთ. საერთოდ პირველ განყოფილებაში ნ. მირცხულავამ მუსიკალური ნაწარმოებები სტილის კარგი გაგებითა და შინაარსის ღრმა ცოდნით შეასრულა.

ჩვენი აზრით, ბახის პარტიტის ეიგისა და ფრანგული სიუიტის აჩქარებით შესრულებამ ოდნავ დაარღვია ნაწარმოებთა მთლიანობა.

სამაგიეროდ ახალგაზრდა პიანისტმა შესანიშნავად, მკაფიოდ წარმოადგინა პროკოფიევის მეექვსე სიუიტა, რომელიც უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს ნ. მირცხულავას შემოქმედებითს გამარჯვებად, რაც იმის დამადასტურებელია, რომ კონსერვატორიის კედლებში კიდევ ერთი ნიჭიერი შემსრულებელი იზრდება.

Ზ. ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ,

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ: უკრავს ნანა მირცხულავა.

ფოტო მ. შოშიაშვილისა.

ᲡᲐᲗᲜᲠᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲯᲐᲖᲔ

თანამედროვე გოგონების პორტრეტის წერა ერთ-ერთი რთული და საინტერესო საქმეა სახვითი ხელოვნებაში. იგი უფრო რთულდება, როცა ხელოვანს საქმე აქვს ჯგუფურ კომპოზიციასთან. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხელოვანმა ბ. ᲗᲘᲗᲨᲘᲠᲘᲜᲛ საოცარი სიმართლით დაწერა თანამედროვე გოგონათა ჯგუფური კომპოზიცია — „ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ“.

ქართველი გოგონები დასვენების დღეს ესტუმრნენ „ლაღიძის“ წყლებს რესპუბლიკის პრესპავილიონზე. ყურადღებას იპყრობს კომპოზიციის სილამაზე.

ქალიშვილები ბუნებრივ პოზაში არიან წარმოდგენილნი. ყოველი მათგანი გრაციოზულია და სათნოა. სახეების იერი, თმის ვარცხნილობა, ჩაცმულობის უბრალოება და მოხდენილობა — ნაწარმოებს ცხოვრებისეულობა და მიმზიდველს ხდის.

ქართველ გოგონათა ჩვეული სიფაქიზე, წმინდა სამყარო იკითხება ჯგუფურ კომპოზიციაში.

ავტორს სინატიფით, ფერების საოცარი შერწყმით ამოუძერწავს ცხოვრებისეულ ფიცხალი სურათი ქართველ სტუდენტ მეგობარ გოგონათა ცხოვრებიდან.

გ. თოფურიას „ქართველი გოგონები“ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ახალი მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზების ერთ-ერთი მშვენებაა.

Ს. ᲜᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲕᲔᲜᲔᲠᲐᲖᲔ? ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

Დ. ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘ,

პროფესორი, შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის დირექტორი

1967 წლის 18 ოქტომბერს საბჭოთა ავტომატური სადგური „ვენერა-4“ ისტორიაში პირველად რბილად დაჯდა პლანეტა ვენერას ზედაპირზე.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ერთ-ერთ გამოჩენილ საბჭოთა ასტრონომს პროფესორ დიმიტრი მარტინოვს მიმართა თხოვნით ეამბნა ვენერას შესახებ, „ვენერა-4“-ის გაფრენის შესახებ.

კვლევის შედეგებ-ზე.

□ □

— რით არის გამოწვეული განსაკუთრებული ინტერესი ვენერასადმი? რატომ სწორედ ის იქნა ამორჩეული კოსმოსური მოგზაურობის მიზნად?

— პლანეტა ვენერა დიდისანია იზიდავს მეცნიერთა ყურადღებას. სხვა მნათობთა შორის იგი ლამაზი კაპკაშა ნათებით გამოირჩევა. ჯერ კიდევ 1610 წელს გალილეომ აღმოაჩინა ვენერას ფაზების ცვლა, საიდანაც შეიძლებოდა იმ დასკვნის გაკეთება, რომ, მაგალითად მთვარისა, მისი შუქის წყაროა მზე. ვენერა ბრუნავს 108 მილიონ კილომეტრ მანძილზე მზიდან. ეს იმ მანძილის დაახლოებით ორი მესამედია, რომლითაც დედამიწა მზეს არის დაშორებული.

ბევრ მკვლევარს ეგონა, რომ ვენერა თითქოს მოდელია დედამიწისა მისი განვითარების უფრო ადრეულ სტადიაზე.

მართლაც იგი ბევრი რამით მოგვაგონებს დედამიწას თავისი ოდენობითაც და მზისთან შედარებითი სიახლოვითაც. ყოველ წელიწადნახევარში დედამიწა და ვენერა უახლოვდებიან ერთმანეთს დაახლოებით 40 მილიონ კილომეტრზე, ესე იგი გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე დედამიწა და მარსი პირისპირ დგომის დროს.

ასტრონომებისამწუხაროდ, ვენერას ატმოსფერო აღმოჩნდა სქლად გაფეთხილი ბუფმბვირალი ღრუბლებით, რომლებიც მთლიანად ფარავენ პლანეტის ზედაპირს. ამიტომ ვენერა დიდხანს რჩებოდა ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შეაწავლილ ასტრონომიულ ობიექტად. შეუძლებელი იყო მისი „ელექტრონული“ პარამეტრების გარკვევაც კი, როგორიც არის დიამეტრი, ღერძის დახრილობის კუთხე, ბრუნვის პერიოდი, ზედაპირის ხასიათი და ბუნება.

— როგორია თანამედროვე წარმოდგენანი ვენერას ბუნების შესახებ?

— უკანასკნელ წლებში მიღებული ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ცნობები ეხება ვენერას ტემპერატურას, მისი ბრუნვის პერიოდს და ატმოსფეროს ქიმიურ შემადგენლობას. ჯერ კიდევ ოციან წლებში განსაზღვრულ იქნა ვენერას ღრუბლების ზედაპირული გრის ტემპერატურა — იგი აღმოჩნდა თანასწორი მიზეს, 35-40 გრადუსისა ცელსიუსით. დაახლოებით ასეთივე ტემპერატურაა დედამიწის ატმოსფეროშიც ყველაზე მაღალი ბუმბულისებრი ღრუბლების დონეზე. მაგრამ მაშინვე აღინიშნა დიდმნიშვნელოვანი განსხვავებაც — ვენერას ატმოსფეროში ბევრი ნახშირმჟავა გაზი აღმოჩნდა.

ბთი წლის წინათ პირველად დაიწყეს კვლევა ვენერას საკუთარი რადიოგამოსხივებისა დეციმეტრიან და სანტიმეტრიან დიაპაზონებში. ასეთ ტალღებს გამოასხივებენ ვახურებულ სხეულები, ამასთან გამოსხივების ინტენსიურობა დამოკიდებულია ტემპერატურის ხარისხზე. შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა — პლანეტის ზედაპირის ტემპერატურა აღწევდა ბლუს 250-300 გრადუსს ცელსიუსით! ეს არ შეიძლებოდა ახსნილი ყოფილიყო ვენერას სიახლოვით მზესთან. მაღალი ტემპერატურის მიზეზი სადღაც თვით პლანეტამივე იფარებოდა.

ტემპერატურის დიდმა სხვაობამ პლანეტის ზედაპირსა და ღრუბლების საზღვარს შუა მეცნიერები აიძულა ევარაუდნათ, რომ არსებობს მძლავრი ატმოსფერული შრე, რომლის წნევაა რამდენიმე ათეული ატმოსფერო.

ამასთან ერთად შესაძლებელი გახდა განესაზღვრათ პლანეტის ნამდვილი დიამეტრიც. შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიულ ინსტიტუტში მიღებული მონაცემებით ვენერას დიამეტრი 12.200 კილომეტრს შეადგენს. ასეთივე ოდენობანი მიიღეს სხვა მკვლევრებმაც, კერძოდ საბჭოთა ასტრონომმა არკადი კუზმინმა, რომელიც ამერიკელ მეცნიერებთან თანამეგობრობით მუშაობდა.

ყველაზე დიდ გამოცანას წარმოადგენდა ვენერას მაღალი ტემპერატურა. მის შეასახებ ყოველგვარი ეჭვები გაიფანტა მას შემდეგ, რაც ეს ფაქტი დაადასტურა ამერიკის საპლანეტათშორისო სადგურმა „მარინერ-2“-მა, რომელმაც ვენერას ახლოს გაიარა 1962 წელს. განმარტებისათვის წამოყენებულ იქნა რამდენიმე ჰიპოთეზა. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, მაღალი ტემპერატურა ეიხსნებოდა ეგრეთწოდებული სათბურის ეფექტით.

მაგრამ იქნებ თბური რადიოტალღების წყაროს ვენერას ზედაპირი კი არ წარმოადგენს, არამედ მისი იონოსფერო? თვისებრივი მხრივ ასეთი ახსნა შეიძლებოდა საკმაოდ დამაკმაყოფილებელი გეგმენებოდა, მაგრამ რაოდენობრივ კანგარიშებებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ვენერას იონოსფეროში ელექტრონების არაჩვეულებრივად მაღალი სიმკვრივე აქვთ. ასეთი სიმკვრივის არსებობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვენერას მძლავრი მაგნიტური ველი ექნებოდა. მაგრამ ვენერასაკენ ავტომატური სადგურების ფრენის ყველა შემთხვევაში ასეთი ველის შესაბრწყინვი კვალი არ აღმოჩენილა.

შესაძლებელი რჩება შემდეგი ახსნა: ვენერა წარმოადგენს პლანეტას, რომელზეც ინტენსიური ვულკანური მოქმედებაა, და საკმაოდ შეაძლებელია, რომ მისი ზედაპირის მეტი ნაწილი დაკავებულია ლავის გავარვარებული ტბებით.

რაც შეეხება ვენერას ღრუბლებს, ისინი მისი ზედაპირიდან ფრიად დიდ სიმაღლეზე იმყოფებიან, სადაც ტემპერატურა უარყოფით მნიშვნელობას აღწევს, და არაფერი საკვირველი არ იქნება, რომ ისინი ყინულის წვრილი კრისტალებისაგან შემდგარი აღმოჩნდნენ.

— ჩვენს წარმოდგენებზე ვენერას შესახებ პრინციპიულად ახალი რა შეიტანა იმ მონაცემებმა, რომლებიც მიღებულია ავტომატურ სადგურ „ვენერა-4“-ის დახმარებით?

— ახალი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ პლანეტათა ასტრონომიის თეორეტიკოსებმა ვენერას ბუნებაზე თავიანთი ძირითადი დასკვნების შესწორება მოსინჯეს. ამ მოსაზრებამ ეს სამეცნიერო ინსტიტუტი ეიძულა ევარაუდნათ, რომ არსებობს ნამშირორჟანგისაგან შედგები. ჟანგბადისა და წყლის ორთქლის რაოდენობა დაახლოებით 1,5 პროცენტია, რაც წინათ ნავარაუდეს მნიშვნელობაზე საგრძნობლად მეტია. რამდენადმე გასაკვირველი შეიძლება გვეჩვენოს, რომ სრულებით არ არის აზოტი — ის გაზი, რომელსაც დედამიწის ატმოსფეროში საერთო შემადგენლობის 78 პროცენტი უჭირავს.

ვენერაზე სადგურების შემდგომ გაგზავნა მოხდება ხალმე უკვე ატმოსფეროს სიმკვრივის შესახებ ზუსტი, კონკრეტული წარმოდგენის საფუძველზე. ეს შესაძლებლობას მისცემს კონსტრუქტორებს შექმნან დაცვები აპარატის ყველაზე ხელსაყრელი აეროდინამიკური ფორმები, უზრუნველყონ სხვა პლანეტის პირობებში მისი მუშაობის საიმედოობა.

— თუ მხედველობაში მიგვიღებთ ვენერაზე არსებულ მაღალ ტემპერატურას, შეიძლება თუ არა კატეგორიულად უარვყოთ ამ პლანეტაზე სიცოცხლის შესაძლებლობა?

— სრულებითაც არა, თუ ვენერაზე გავარვარებულია თვით ზედაპირი, ატმოსფეროს მაღალ ფენებში არსებობს სიცოცხლისათვის საგრძნობლად უფრო ხელსაყრელი პირობები. საგსებით დასაშვებია სიცოცხლის ისეთი ფორმები, როგორიც არის, მაგალითად, ატმოსფერული პლანქტონი — მრავალი მფრინავი და მოლიკოვანი ორგანიზმი. ჩვენ ვიცით, რაოდენ დიდია სიცოცხლის შემუშავებლობა უაღრესად რთულ პირობებთან. და თუ ვილაპარაკებთ ხამყაროზე, სადაც სიცოცხლე უთუოდ ფართოდ არის გავრცელებული. ვენერა ალბათ სრულებითაც არ იქნება გამონაკლისი.

თუმცაღა, რამდენად სწორია ეს, ამას დაგვანახვებს მომავალი და, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, არცუ შორეული. დადგება დრო — და ვენერა უნდა გამოთხოვოს თავის რომანტიკულ წოდებას — „გამოცანათა პლანეტის“ წოდებას.

ᲠᲔᲛᲑᲠᲐᲜᲓᲢᲘᲡ 26-Ე ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲔᲠᲛᲘᲢᲐᲟᲘᲡᲐ

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ „ᲛᲝᲒᲖᲐᲗᲐ ᲗᲐᲣᲤᲐᲜᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ“ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ „მოგზათა თაუფანისცემის“, რომელიც ლენინგრადის ერმიტაჟის კოლექციაში ინახება, როგორც გამოირკვა რემბრანდტის ორიგინალი ყოფილა. ეს ზომით პატარა, საუცხოოდ ფერწერული ტილო დღემდე არ ინტერესებდა ხელოვნებათმცოდნეებს, იმიტომ, რომ ცნობილი მხატვრის სურათის პირი ეგონათ. მიაჩნდათ, რომ ორიგინალი ინახება ბუტბორგის ერთ ერთ მუზეუმში.

ამ ბოლო დროს ეჭვი აიღეს, რომ შვეიცარიაში შენახული სურათი ორიგინალი არ უნდა ყოფილიყო. ერმიტაჟის მეცნიერი თანამშრომელი ირინე ლინიკი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ლენინგრადის ტილო. დარწმუნდა, რომ ეს უდავოდ რემბრანდტის ნამუშევარია. სურათის ქვედა ნაწილში აღდგენილ ვენეციური ბოლანდიელისათვის დამახასიათებელი ხელმოწერა და თარიღი: 1632.

ლენინგრადელი ხელოვნებათმცოდნის აღმოჩენა რენტგენოგრაფიულმა ექსპერტიზამაც დადასტურა.

„მოგზათა თაუვანისცემა“ რემბრანდტის 26-ე სურათია სახელმწიფო ერმიტაჟში. იგი შეტანილია მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში. (საკდესი).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ

ᲘᲒᲘ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡ

— სანამ ახალ გაზეთს არ წავიკითხავ, ვერ ვისვენებ, რაც მაწუხებს.

— გაზეთი თუ არ გადავიკითხე ის დღე არაფრად მიღირს.

— გაზეთი ჩემთვის ისევე აუცილებელია, როგორც საჭმელი, ჰაერი, წყალი.

ასეთ საუბარს შევესწარი ამას წინათ ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მუშათა საგანრიგოში. რამდენიმე ათეული მუშახტე რიგში იდგა და ყურნალებსა და გაზეთებს იწერდა.

თვალნათლივ ჩანდა, რომ გაზეთის წაკითხვა მოთხოვნილებად გადაქცეულა ამ ადამიანებისათვის.

ასეთ კეთილშობილურ, ადამიანური ჩვევის გამომუშავებას წლები დასჭირდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებელთა არმიას. გვინდა გავაცოცხოთ ამ არმიის ერთ-ერთი აქტიური ჯარისკაცი, სამთოელი ეკატერინე ვაშაკიძე.

„ჩვენი კატუშა“ — ამ სახელით უფრო იცნობენ ამ დარბაისელ ქალს ლენინის სახელობის შახტაში. მას ყოველთვის დაინახავთ მეშახტეებთან, გაზეთებითა და ყურნალებით ხელში.

ე. ვაშაკიძემ ლენინის სახელობის შახტაში ამ 28 წლის წინათ დაიწყო მუშობა. მას მეტად პასუხსაგები უბანი — შახტის ტექნიკური კონტროლის განყოფილება ჩაბარეს. მას შემდეგ მოწინავე ქალი ამ განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელია. ხუთ წელზე მეტია, რაც ე. ვაშაკიძეს პრესის საზოგადოებრივი გამავრცელებლობა დაკისრეს. ენერგიულ და მონდომებულ ქალს თავი არ შეურცხვენია. ლენინის სახელობის შახტი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა ყურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეში. აი ციფრებიც: რესპუბლიკის ამ უძველეს და მძლავრ სამთო საწარმოში ათას კაცზე მეტი მუშაობს. აქ 3.000 ეგზემპლარი ყურნალი და გაზეთია გავრცელებული. აქედან მარტო „კომუნისტზე“ ხელმომწერთა რიცხვმა რვაასს გადააკარა.

ვინ უზრუნველყო გაზეთების ასეთი ორგანიზებული გავრცელება?

უწინარეს ყოვლისა შახტის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მუშაკებმა (პარტკომის მდივანი დ. ხეცურიანი, შახტკომის თავმჯდომარე ტ. ჭიკაბერიძე) და, რა თქმა უნდა, პრესის საზოგადოებრივმა გამავრცელებელმა „ჩვენმა კატუშამ“.

ე. ვაშაკიძემ, რომელსაც თავის საყვარელ საქმედ მიაჩნია პრესის საზოგადოებრივი გამავრცელებლის საპატიო სახელი, ზეპირად იცის ის ინჟინერ-ტექნიკოსები, ინჟინერ-მექანიკოსები, ელექტროსამონტაჟოები, ელექტროლამპოსტალიერები, ელექტროინჟინერ-ტექნიკოსები, ელექტროინჟინერ-ტექნიკოსები, ელექტროინჟინერ-ტექნიკოს